

# შინაური საქმეები.

№ 6.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეექვსე.

ქოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 17 თებერვალი 1913 წელი

ქოველ-კვირული გაზეთი

## შინაური საქმეები

ხელს მოწონ მიიღეს (რედაქციაში, ქ. ქუთაისში სურათად) — კახეთის მუნიციპალიტეტის სოფლის განმარტების კომისიის დადგენილი წევრების მიერ.

საგვარეულო № 17). და თბილისში გამოცემული სომხის პარტიის მიერ.

### გაზეთის შასი:

წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.

წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.

წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.  
წლიური ფასი: 4 მანეთი.

საქმის ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

დღეს უკვე არაა წლიური შასის მოწოდება, ამიტომაც ვინც იყინება, იმისთვის რომ დაეხმოს, უნდა იყინოს 7 კ. ვინც იყინება, უნდა იყინოს 7 კ. ვინც იყინება, უნდა იყინოს 7 კ.

ადრესი: ქუთაისი; „შინაური საქმეები“ რედაქცია.

შინაური: 1. იმერეთის სამღვდლოების უკანასკნელი კრების მოქმედება; 2. საუბრები. მეორე საღამო — ა. პ.-სა; 3. ჩვენი ინტელიგენტების დაქაჩვა და მათ მიერ გოდლის შენება — მღვ. ნესტორ აბესაძისა; 4. სამღვდლოების საეკლესიო საკითხები; 5. კრიტიკული შენიშვნები — ბოგოლელისა; 6. კიდევ ათონის მთის შესახებ; 7. კვირიცხა-კვირამღე; 8. „ზაკავაზის“ რედაქტორის ბ-ნ რადიკეს საქმე.

### იმერეთის სამღვდლოების უკანასკნელი კრების მოქმედება.

წრევანდელი სამღვდლოების კრება არ გავდა სხვიმინდელს. სამღვდლოება ამ კრებაზე სრული შეგნებით ეცილებოდა საქმეს და ბევრი რამ ისეთი დაადგინა, რაც თუმცა არც წინა კრებებისათვის ყოფილა უცხო, მაგრამ ზოგიერთ პირთა ზეგავლენით მაინც გასავალი არ ჰქონდა. დღეს ასეთმა საკითხებმა სრული თანაგრძობა ჰპოეს სამღვდლოებაში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე დადგება ის დრო, როცა სამღვდლოება თავის საქმეებსაც რიგზე დააწყობს და ხალხის სარწმუნოებრივ-ხეობრივ აღზრდის საქმესაც კეთილ გზაზე დააყენებს. მართალია ჩვენი სამღვდლოება არ განიხილავს დიდი ბრწყინვალე განათლებით, მაგრამ შეგნება და მონღომა დიდი აქვს, ენერჯიასაც თანდისთან მეტს იჩენს და ეს კი ბევრის რისმე მომხმარებელია, ბევრის რისამე თავდებია.

დეკემბრის კრებაზე, მაგ., გადასწყდა ორი დიდი საკითხი — საკითხი ემერიტალურ კასის დაარსებისა და საკითხი ქვრივ ობოლთა შესაწევარ თანხის შედგენისა — ან აგრეთ წოდებული „სამოწყალო კასის“ დაარსებისა. ემერატურაზე ჯერ კიდევ განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის დროს აღიძრა კითხვა, როცა იმერეთის სამღვდლოების განკარგულებაში იყო საქანოდ ძლიერი თანხა — 133 ათასი მანეთი, შეგროვილი სამღვდლოებისაგან სემენარის დასაარსებლად და უქმად დარჩენილი, როცა მისი დაარსება საქიროთ არ სცნო სინოდმა. როგორც გვახსოვს ბ. ერ. თუთბერიძემ, — ეპარხიალურ კანცელარიის მდივანმა, პროექტი შეადგინა ამის თაობაზე, მაგრამ ზოგიერთ შურიან ადამიანების წყალობით ამ საკითხმა ჩაილულის წყალი დალია უთუოდ მიტომ, რომ არ იყო შეგნება სამღვდლოებაში და საქმე თავიდან დაიწყო და არა ბოლოდან, არა სამღვდლოებიდან, არამედ მღვდელმთავრიდან. დღეს კი ეს საკითხი პრინციპიალურად გადაწყვეტილია და მიღებული, მხოლოდ შემდეგ კრებაზე წესდება მოისმენენ, რომლის შედგენა მიენდო კომისიას, რომელშიდაც შედიან კანცელარიის მდივანი ბ. ე. ს. თუთბერიძე, ბლად. მლ. ს. დევიძე და მლ. ს. მკედლოძე. მისმა შეუფებამ აღტაცებით მიიღო სამღვდლოების ასეთი დადგენილება და კომისია დაამტკიცა.

სამოწყალო კასის დაარსებას დიდი ხანია თხოულობდა ჩვენი სამღვდლოების დაცემული მატერიალური მდგომარეობა. ჩვენი სამღვდლოება, ძლიერ მცირე რიცხვის გამოკლებით, მეტათ ღარიბია; მღვდელს სიცოცხლეში უჭირს ცოლშვილის საზრდოება და, რომ მოკვდება ან ავადმყოფობით დავარდება, ან სხვა რაიმე უბედურება შეემთხვევა, ხომ სულ წყალ-წყალებული შეიქნება მთელი მისი ოჯახობა. ასეთ მდგომარეობაშია დღეს ბევრი სამღვდლო პირის ოჯახები. მართალია არსებობს ეგრეთ წოდებული „სამზრუნველო“, საიდგანაც მოწყალებასავით თითო-ორიოლა კაპიკი ეძლევა მღვდლის ქვრიუსა და ობლებს, მაგრამ ეს

სამზრუნველო ძრიელ ღარიბი გახლავსთ და მის ნაბოძებს კაპიკებს ფონს ვერ გაჰყავს დაობ. ლებული ოჯახი. ამიტომაც არის, რომ ასეთი ოჯახების ხელები მუდამდღე გაშვერილი იყო სამღვდლოებისადმი. აუარებელი თხოვნები შემოლიდა ყოველ სამღვდლოების წლიურ კრებას დახმარების აღმოსაჩენად. სამღვდლოებაც შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებდა ასეთ თხოვნებს, მაგრამ ასეთ დაკმაყოფილებას ყოველთვის შემთხვევითი და დაუწყობელი ხასიათი ჰქონდა, და თავის მიზანს ვერ ახწევდა მით უფრო, რომ ასეთი დახმარება ნებაყოფლობით ხდებოდა საბოლოოჩინო კრებებზე. დღეს კი სულ სხვა მდგომარეობა შეიქნა. კრების დადგენილებით თითულმა კრებულმა სავალდებულოდ უნდა გამოიღოს წელიწადში ერთი მანეთი. ეს ფული შედის ხაზინაში ეპისკოპოსის დეპოზიტათ და რჩება სამღვდლოების წლიურ კრების განკარგულებაში, რომელიც თავის შეხედულებისამებრ უნიშნავს შემწეობას ამა თუ იმ გარდაცვალებულ ან დავრდომილ მღვდლის თუ სხვა ეკლესიის მსახურის ოჯახობას. მისმა შეუფებამ ეს ჟურნალიც სიამოვნებით დაამტკიცა. კრების აზრით ეს ფული უნდა დაკავებოდა სამღვდლოებას სახაზინო ჯამაგირიდან, მაგრამ ეს უხერხულად სცნო მისმა შეუფებამ და ფულის დაკავება დრამიდან გადასწყვიტა, რაზედაც ეცნობება მზარის უფროსებს სათანადო ზომების მისაღებათ.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ მიზნითვე შარშანწინ სამღვდლოებამ სამარხი კასის დაარსება განიზრახა და კიდევ შეადგინა საქირო წესდება, მაგრამ ჯერაც ეს კასა არ დაუმტკიცებიათ მისთვის და, როდის ელირსება, ღმერთმა იცის.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევებმა ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოების და განსაკუთრებით სამღვდლოების. მისი შეუფების ყოველდღისამღვდლო გიორგის თაონობით დაიწყო და გაცვოდა ის საქმე, რაც ოცი-ოცდაათი წლის წინათ უნდა გაცვებულყო; შემოირაგვა ბაგრატის ტაძარი. კრებამ ეს სავანიც არ დასტოვა უყურადღებოთ

და ჟურნალით დაავალა ეპარქიის კრებულებს თითო მანეთი შემოიტანონ ამ საქმის დასამთავრებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამღვდლოებამ სასულიერო გამოცემებს. „შინაურ საქმეებს“ შარშანდულათ ავანსით დაეხმარა და ასეთი თანაგრძნობით დიდათ გაამხნევა მისი რედაქტორი: ამასთანავე გამოსთქვა იმის სურვილი, რომ თითოეული კრებული იწერდეს იმავე რედაქციით წარმოებულ თვიურ ჟურნალ „განთიადს“. ეს ჟურნალი კრების დროს გამოსული არ ყოფილა, მაგრამ ერთი მისი პროგრამის განხილვა საკმარისი შეიქნა, რომ კრება თანაგრძნობით მიგებებოდა ამ პირველ მერცხალს, პირველ მაგალითს არათუ იმერეთის ეპარქიის, არამედ მთელ საექსარხოსოს საეკლესიო ისტორიაში. პირველი მაგალითია ჩვენში საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ჟურნალი. პირველი მაგალითია ისიც, რომ ეს ჟურნალი საერო ლიტერატურას, არხეოლოგიას, ისტორიას და ყოველ მხარეს ქართული ცხოვრებისას ყურადღებას აქცევს და ანათებს. ჰიგიენასა და მეურნეობასაც თავის ადგილი აქვს ჟურნალში. ასეთი ყოველმხრივი ჟურნალი და ისიც ასე ხელმისაწვდომ ფასში, სწორეთ რომ უცხო ფრინველია ჩვენში და საჭიროა ყველამ ხელი შეუწყოს ამ სასიკეთო დაწყებულებასო, ასე სჯიდა კრება და უმრავლესობამ იქვე გამოსთქვა სურვილი ჟურნალის გამოწერისა. ჟურნალ „განთიადის“ შესახებ დადგენილებაზე მისი მეუფება თანახმა გახდა, ე. ი. მისი მეუფებაც საჭიროთ რაცხს და სურვილს გამოსთქვამს, რომ ამ ჟურნალს თითოეული კრებული იწერდეს.

კრებამ აღიარა ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურის უკიდურესი სიღარიბე და ეს სიღარიბე - სარწმუნოების დაცემის ერთ უმთავრეს მიზეზად. ამიტომ სურვილი გამოსთქვა გამოიკვს საეკლესიო ბიბლიოთეკებისთვის საღვთისმეტყველო წიგნები და ამ პირველათ სახარების თარგმანი-განმარტება, - რაც ასე საჭიროა ამ წიგნის კანონიერი შეგნებისათვის, განსაკუთრებით დღეს, როცა ყოველი წრის კაცი

თავის სასარგებლოთ იყენებს ამ წიგნთა წიგნს, თავის უტოპისტურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შეხედულებების გასამართლებლად ამხინჯებს მის წმინდა სიტყვებს და აზრებს. ამ საკითხის სასურველად დაბოლოება კრებამ მიანდო მისი მეუფების კეთილნებობას და აღუთქვა მას სრული მორჩილება. ამის შესახებაც მისმა მეუფებამ კეთილ ინება ჟურნალის დამტკიცება.

კრება ყურადღებით მოეპყრო აგრეთვე მ. მღვდ. მელ. კელენჯერიძის ახალ შრომას: „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი ცხოვრება, დრო და მოღვაწეობა“. ყოვლადსამღვდლო გაბრიელი - ეს პირველი ანგელოსი იყო იმერეთის ეპარქიისა რუსეთთან შეერთების შემდეგ, რომელიც აღტურვილი იყო უმაღლესი განათლებით და უფრო უმაღლესი სიყვარულითა და ერთგულებით თავის სამშობლო სამწყსოსადმი. ჯერ კიდევ მრავლად არიან მისი აღზრდილი და ხელდასხმული მღვდლები, რომლებსაც ერთი მხოლოდ გაბრიელის სახელის ხსენება სიამოვნების ყრუანტელს გვრის. თქმა არ უნდა, ყველა სიამოვნებით მიეგება მ. კელენჯერიძის შრომას და სურვილი გამოსთქვა, იქნეს შეძენილი ეს წიგნი საეკლესიო ბიბლიოთეკებისთვისაც. ამ წინადადებაზეც თანახმა გახდა მისი მეუფება, მხოლოდ საჭიროდ სცნო, სანამ წიგნი ეკლესიებს დაურიგდებოდეს, წარედგინოს განსახილველად ერთი ცალი.

კრებამ იქონია მსჯელობა დეპუტატების უზრუნველყოფაზე ხარჯით და გზის ქირით და უსამართლოთ სცნო დღევანდელი მდგომარეობა, როცა, დეპუტატები ხშირათ თითო-ოროლა კვირა რჩებიან ქუთაისში, თავის საკუთარ ფულს ხარჯავენ და ამავე დროს მრევლშიდაც შემოსავალს ჰკარგავენ. მისმა მეუფებამ უარყო კრების დადგენილება სანთლის ქარხნიდან დეპუტატების ხარჯის გაღებისა, რადგან ეს დაკანონებული არ არის, თუმცა ზოგიერთ ეპარქიებში კი მოქმედობს ასეთი პრაქტიკა. საჭიროა საკითხი გადაწყდეს საბლალოჩინო კრებებზე, უმატებს მისი მეუფება.

სასულიერო სასწავლებლის სმეტით მეორე (ნაღზირატლის) მეთვალყურის დანიშვნა ითხოვებოდა. სამღვდლოებამ უარყო ეს მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ მოსწავლეთა დღევანდელი რიცხვი არ მოითხოვს მეორე მეთვალყურის საქროებას, საკმარისია ერთი. ეს ეურნალი და საერთოდ მთელი სმეტის შესახებ წარედგინა ექსარხოსს, რადგან ახალი განკარგულებით სასწავლებლის სმეტას ის ამტკიცებს.

ჯამაგირის განაწილებას ეხლანდელ კრებაზე არ გამოუწვევია ის განგაში, რასაც იწვევდა ამ ორი-სამი წლის განმავლობაში. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ სამღვდლოება ისედაც დაკმაყოფილებულია ნიეთიერად, არამედ ერთხელვე მიღებულ საზომის გამო, რომლითაც დამატებითი ჯამაგირი ნაწილდება. დამატებითი ჯამაგირები დაენიშნა შემდეგ კლასებს:

1. სხიერის წ. გიორგის ეკლესიას 288 მ. 12 კ.
  2. კუტხვათის წ. გიორ. 280 მ. 28 კ.
  3. წედისის მთავარ ანგელოზის 264 მ. 60 კ.
  4. სომიწოს წ. გიორგის 119 მ. 71 კ.
  5. საბეკას წ. გიორგის 248 მ. 92 კ.
  6. თლუხის წ. გიორგის 280 მ. 28 კ.
  7. საპაიჭავოს წ. გიორგის 589 მ. 96 კ.
  8. ლიხეთის წ. გიორგის 215 მ. 60 კ.
  9. საწირის ნათლისმც. 280 მ. 28 კ.
  10. ზედუბნის კოსმა და დამიანეს 299 მ. 88 კ.
  11. დღნორისის წ. გიორგის 225 მ. 40 კ.
- ჯიხაიშის მეორე შტატის მედავითნეს 5 მ. 43 კ.

## ს ა უ ბ რ ე ბ ი .

### მეორე საღამო.

#### როგორ ვმველება საქმეს?

**პეტრე:** საღამომშვიდობისა, მამაო! გეწვიეთ და გვსურს დღესაც მოგისმინოთ, როგორც გუშინ. თქვენ დაგვპირდით დღეს მოგეცათ პასუხი იმაზედ, თუ რამ და როგორ უნდა გვიშველოს მომავალს საშემშრობაში.

**მღვდელი:** სრულიად მართალია; მე ვეცდები დღეს გადავწყვიტო ვე საკითხი.

**თამა:** მაგრამ, მამაო წმიდაო, ვიდრე თქვენ დაიწყებდეთ მე უნდა მოგახსენოთ, რომ დიდის ინტერესით ველი, როგორ

პასუხს გაცემთ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

**მღვდელი:** მე იმედი მაქვს, რომ თქვენ აქედან დაკმაყოფილებული წახვალთ, თუ ყურადღებით მოეპყრობით ჩემგან წამოყენებულს საბუთებს და განმარტებას. ეხლავ გიჩვენებთ, რაში არ უნდა ვეძიოთ შველა და რა უშველის საქმეს. ჩვენ უკვე გვსმენია, რომ მცხოვრებთა უკმაყოფილო და ქონება-მოკლებულ ნაწილს კაცობრიობისას მშველელად მიაჩნიათ ის, რომ თვითეული კერძო საკუთრება ანუ ქონება იყოს სახელმწიფო საკუთრებად, ანუ როგორც ისინი ამბობენ საზოგადოების საკუთრებად. მაგრამ ამით კმასაყოფელად ვერ გადასწყდება საკითხი. ყოველივე კერძო საკუთრება რომ გადავარდეს, მაშინ კაცს უნდა წაერთვას უფლება რაიმე ქონების შეძენისა და თვისის მდგომარეობის გაუმჯობესებისა. კაცის თვისებაა შრომით და ხელმომჭინრებით შეიძინოს რაიმე ქონება და ამაში ჰპოვოს ნუგეში. სწორედ ამას შეაღვეს ხოლმე ის თავის ძალდონეს, სხვას ემსახურება და სხვისთვის შრომობს, თვითონ იკლებს არ იკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას და სცდილობს შეინახოს ფული. ეხლა რომ გადავარდეს კერძო საკუთრება, მაშინ კაცს აღარაფერი არ წააქეზებს საშრომელად და ის შეუმჩნეველად დაზარმაცდებოდა და უსაქმური შეიქმნებოდა; ეს კი დიდს ზიანს მიაყენებდა კაცის საუკეთესო მისწრაფებას, ამიტომ ლაპარაკდაც კი არა ღირს, რომ სოციალისტთა მიერ წამოყენებულ ამ ღონისძიებით შეიძლებოდეს გაუმჯობესება ცხოვრებისა.

მაგრამ სოციალისტთაგან მოწონებული ღონისძიება უნდა უარყოფილ იქნას სხვა საბუთებითაც. ეს ღონისძიება დიდს უსამართლობას შეიცავს, რადგანაც კაცს პუნებითვე აქვს ნება ქონების ფლობისა. ცხოველი მხოლოდ აწმყოთი

სტხოვრობს, კაცი კი გაიცქირება მომავლისაკენ და მისი იმედი აქვს. მიწის მოსავალი აძლევს კაცს მტკიცე იმედს მომავალში ცხოვრების ღონისძიებათა მოპოებისას; აქედან კი ის გამოდის, რომ კაცს ბუნებითვე აქვს უფლება არა თუ მხოლოდ იცხოვროს მიწის მოსავლით, არამედ საკუთრებაც იქონიოს ქვეყანაზე. გარდა ამისა თუმცა დედამიწა იძლევა ყველა იმას, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის, მაგრამ მას არ შეუძლიან ამის მოცემა კაცის ხელის დაუხმარებლად. თუ კაცი ეხლა ზრუნავს და სცდილობს მიწის განოყიერებას და განაყოფიერებას, მაშასადამე მას უნდა ჰქონდეს ხელ შეუხებელი უფლება მისგან განოყიერებულ და შემუშავებულ მიწის ამ ნაწილზე. და ეს უფლება უნდა დარჩეს სამუდამოდ ხელ-შეუხებელი და დაუროვეველი. მისგან ამ მფლობლის წართმევა დიდი უსამართლობა იქნებოდა. ხოლო ასეთს უსამართლობას ჩაიდენდნენ იმ შემთხვევაში, თუ მოისურვებდნენ კერძო საკუთრების მოსპობას.

არის კიდევ მესამე საბუთიც, რატომ არ უნდა იყოს კერძო საკუთრება სახელმწიფო საკუთრებად. ის შეცულია თვით ცნებაში სახელმწიფოს შესახებ. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თვითვეულის თავისის წევრის უფლების დაურღვეველობა და ხელი შეუწყოს კაცობრიობის ქვეყნიურ სიკეთეს. მისი ინტერესია თვალყური ადევნოს, რომ სახელმწიფოს წევრთა შორის მეფობდეს მშვიდობა და თანხმობა, რადგანაც მხოლოდ მაშინ შეიძლება იარსებოს, საზოგადო სიკეთემ და წარმატოს იგი. სახელმწიფომ რომ ხელში ჩაიგდოს მთელი კერძო საკუთრება, რომელიც კაცს უყვარს სულითაც და ხორციითაც, ამას მოჰყვებოდა დიდი უკმაყოფილება და გაბოროტება. სახელმწიფო რომ ყველასთვის პურის მიმცემი იყოს, ყველა რომ მას

სტხოვდეს ამ პურს, როგორც მოწყალეობას, მაშინ აუცილებელი მტრობის, შევიწროების და ჩხუბის გამო, აუტანელი იქნებოდა კაცის ცხოვრება. შემდეგ, კაცს რომ არა აქვებდეს რა მოქმედებისათვის, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა კეთილ-დღეობა და არც აღარაინ მოისურვებდა მომავლისთვის ზრუნვას. ვერ განვითარდება სახელმწიფოს კეთილ-დღეობა იქ, სადაც ცალკე წევრებს მხოლოდ სძულთ იგი, მტრობენ მას და მხოლოდ ძალდატანებით ასრულებენ დანიშნულ სამუშაოს. მაშასადამე, სახელმწიფომ თავისისავე კეთილდღეობისათვის უნდა იზრუნოს, რომ კერძო საკუთრება დარჩეს წმინდად და ხელშეუხებლად.

ამრიგად, ის გზა, რომელსაც გვიჩვენებენ სოციალისტები გადასაწყვეტად სოციალურის საკითხისა: ვერას გვიშველის.

**პეტრე:** თვითონ მეც ხშირად მიფიქრია, რომ იმ კაცებს, რომლებსაც არა აქვთ სარწმუნოება და არაფერს მნიშვნელობას არ აძლევენ სჯულს, არ შეუძლიათ გვიჩვენონ ღონისძიება ეხლანდელ გაქირებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**თომა:** არ შეიძლება ვერგე შეურაცხყოფით ხსენება ჩემი პარტიისა, რომელიც თან-და-თან იძენს მომხრეებს და მრავალი გონება ნათელი თანამოაზრეცა ჰყავს. მაგრამ მე აქამდე ინტერესით და გულმოდგინეთ გისმენდით, თქვენ, წმიდაო მამაო, და მზადა ვარ აგრეთვე ცნობისმოყვარეობით მოვისმინო თქვენი შემდეგი განმარტებაც.

**მღვდელი:** შემდეგ თქვენ ის უნდა მოისმინოთ, რანაირად ვშველება საქმეს. სოციალურ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა შეერთებული და შეთანხმებული მოქმედება ეკლესიისა და სახელმწიფოსი, სამუშაოს მიმცემთა და მუშებისა.

**თომა:** მაგრამ მე გკითხავთ, რა შეუძლიან ამ საქმეში ეკლესიას; ის ხომ მხოლოდ საიქიოს ცხოვრებაზე ზრუნავს და თავის წევრებს უთითებს მხოლოდ ცაზე. ეგრეთწოდებულს საუკუნო კეთილზე; არაგვარ შევლა-დახმარებას სოციალურ ბოროტებასთან ბრძოლაში მისგან არ უნდა ველოდეთ.

**მღვდელი:** ამაში თქვენ ძალიან სცდებით, რადგანაც ეკლესიის დაუხმარებლად არავითარი გადაწყვეტა არ შეიძლება იმ საკითხისა, რომელიც ეხლა მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. ეკლესია რომ მოვაშოროთ ამ საქმეს, კაცთა ყოველი ძალ-ღონე უძღური იქნება, მიტომ რომ ეკლესია შეიცავს იმ საიდუმლო გასაღებას ზეციური სწავლისას, რომელსაც მხოლოდ ერთადერთს შეუძლიან მოახდინოს ზნეობრივი ცვლილება კაცთა გულში და ჰქმნას ის, რომ ეხლანდელი ბრძოლა ქონების მფლობელთა და ქონება მოკლებულთა, მდიდართა და ღარიბთა შორის ან სრულიად მოისპობა, ან არა და დაჰკარგავს სიმწვავეს.

ეკლესიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მოძღვრება არის ერთი უძლიერესი ღონისძიებათაგანი მდიდართა და ღარიბთა მოსარიგებლად. ამ მოძღვრებით და ღვთის მცნებით ეკლესია გაახსენებს ერთთაც და მეორეთაც მათს ვალდებულებას და განუმეორებს ბრძანებას: „მიეცი ყველას თავისი“. ეკლესია ამრიგად ეხმარება საქრისტიანო ცხოვრების წესიერად მოწყობას და ხელს უწყობს კაცის ქვეყნიურს კეთილ-ბედნიერებასაც. მხოლოდ ქრისტიანული ცხოვრების ნიადაგზე წარმატებულნი და ვითარდებიან ის სათნოებანი, ურომლებოდაც ვერ შექმნის ამ კეთილდღეობას ვერაგვარი დროებითი კეთილბედნიერება. ეს სათნოებანი არიან: შრომის მოყვარეობა, ზომიერება, ხელმომჭირნეობა, ზნეობრივი სიფაქიზე.

ძმური სიყვარული, კმაყოფილება. რა სასარგებლო იქნება ყველა კანონმდებლობა მიმართული კაცობრიობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, შემამსუბუქებელი ზომები, მომატება სამუშაო ქირისა და სხ. თუ აკლდება ეს სოციალური სათნოებანი?

**პეტრე:** სულ მაღალი ქირაც კი არაფერს არგებს იმას, ვინც არ იცის შენახვა და მიჩვეულია ფლანგვას. რაც უფრო მეტს ღებულობს, უფრო მეტი სჭირდება.

**მღვდელი:** ამას ჩვენ ყოველდღიურ გამოცდილებით ვხედავთ. მაგრამ ეკლესია არა მარტო სწავლა-მოძღვრებით, არამედ პრაქტიკულ დაწესებულებებითაც სცდილობს შეამსუბუქოს გაჭირვებული მდგომარეობა ღარიბთა და მუშათა. საკმარისია აქ მხოლოდ გავიხსენოთ ეკლესიის სოციალური მოქმედება მოწყალების დათა, საავადმყოფოთა, თავშესაფართა და სხვა დაწესებულებათა საშუალებით, რომლებიც მიმართული არიან ყოველივე ბოროტების და გაჭირვების შესამსუბუქებლად, ზნეობის ასამაღლებლად და სოციალურ ინტერესთა გასაღვიძებელ-გასაცხოველებლად. საკმარისია, რომ ყველაფერს ამას ყურადღება მივაქციოთ, ავწონ-დავწონოთ და ჩვენთვის ცხადი იქნება, რაედენად მდიდარს საუნჯეს შეიცავს ეკლესია სოციალურ სენთან საბრძოლველად.

**თომა:** არ შეიძლება არ დაფასდეს ის, რაც ეკლესიამ ჰქმნა, ან შეუძლიან ჰქმნას ამ მხრივ, მაგრამ მან ჯერ კიდევ მაინც ვერ მოსპო დაჩაგრული მდგომარეობა მუშა ხალხისა. სახელდობრ, ჯერ არ არის გაუმჯობესებული შრომის ქირის პირობანი. კაპიტალისტები ჯერაც კიდევ განაგრძობენ მუშების შევიწროებას მიუხედავად ეკლესიის სოციალური მოქმედებისა.

**მღვდელი:** ამაზე მე გეთანხმები; მაგ-

რამ მე უკვე განვიმარტე, რომ ყოველ მხრივი გაუმჯობესებისთვის საჭიროა სხვა მიზეზთა დახმარებაც. პირველად ყოველისა საჭიროა დახმარება სახელმწიფოსი კანონმდებლობის გზით. პირველად ყოველისა, ის მოვალეა დაეხმაროს საზოგადო სიკეთეს და რაც უფრო ძლიერად, ბეჯითად და ენერგიულად შეუდგება ის ამ საქმეს თავისი საზოგადო ზომებით, მით უფრო ნაკლებად საჭირო იქნება სხვა რამ საშუალებათა გამოძებნა მუშა ხალხის ცხოვრების პირობათა გასაუმჯობესებლად. სწორედ სახელმწიფოა ვალდებული დაეხმაროს მუშათა კლასს, რადგანაც მუშები შეადგენენ სახელმწიფოს წევრთა უმეტეს ნაწილს და სახელმწიფოს სიკეთე ბევრით დამოკიდებულია ამ კლასის მუშაობაზე. გარდა ამისა, ღარიბთ, ქონება მოკლებულთ უფრო ესაჭიროებათ დახმარება სახელმწიფოსი, ვიდრე მდიდრებს.

მაშ რაში მდგომარეობს ის ზომები და მფარველი კანონები, რომლებიც მთავრობამ უნდა მიიღოს მუშათა კლასის სასარგებლოდ? რადგანაც ზნეობრივი, სულიერი სიკეთე უმაღლესია ნივთიერზე, ამიტომ მმართველობა, პირველად ყოველისა, ვალდებულია დახმარება და მფარველობა გაუწიოს მუშათა ამ სულიერ საჭიროებას. მუშები არ უნდა იყვნენ შევიწროებულნი მათ სჯულში, მათ ზნეობრივ ცხოვრებაში. მათ უნდა ჰქონდეთ დრო და შეძლება, რომ შეასრულონ თავისი სარწმუნოებრივი მოვალეობა. მათ არ უნდა იმუშაონ ისეთ სახლებში და იცხოვრონ ისეთ სადგომებში, სადაც მათ ზნეობრივ ცხოვრებას შიში მოელის. შემდეგ, სახელმწიფომ უნდა დაიცვას მუშათა წოდების ქვეყნიური ინტერესებიც. უნდა ზრუნავდეს მათ ქვეყნიურ სიკეთეზედაც. ამ სიკეთეთა შორის, პირველად ყოველისა, უნდა მოვიხსენოთ ჯანის სისალე, რომ

მელსაც ხშირად სწყენს მეტისმეტი დაღლილობა, უბედური შემთხვევა და სისალინათვის მანებელი სამუშაო და სადგომი. სახელმწიფო, ამიტომ, უნდა ზრუნავდეს, რომ მუშებს მიეცეთ დასვენება საჭირო მუშაობაზე დახარჯულ ძალღონის აღსადგენად, რომ დასახიჩრებისა და სხვა უბედურობის დროს და ავადმყოფობის დღეებშიც მიეცეთ საჭირო ხარჯი, რომ გიგიენის მხრივ მანე სადგომებს ბეჯითად ადევნონ თვალყური. ამასთანვე, სახელმწიფომ ყური უნდა უგდოს ფაბრიკებში მომუშავე ქალებსაც და ბავშვებსაც, რადგანაც ქალებიც თავის ოჯახს ეკუთვნიან. ბავშვები კი, რაც შეიძლება, უნდა მოარიდონ ფაბრიკებს, ამ მიმართულებით მოქმედებას უკვე შეუდგა სახელმწიფო, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ზომები საკმარისია აღნიშნულ მიზნისთვის. სოციალური კანონის მდებლობისთვის ჯერ კიდევ დიდი სარბიელია სამოქმედოდ. აქ მაგალითად შეიძლება ვიკითხოთ, როგორ უნდა მოხერხდეს, რომ მუშები შორს არ წაეიდნენ ოჯახის კერიდან და თვითეულს მათგანს პატარა მიწის ნაკერი მაინც ჰქონდეს? ამითი დაიქნებოდა შემაერთებელი გზა მდიდართა და ღარიბთა დასახლოებლად და გაძლიერდებოდა ოჯახობრივი გრძობა.

ა. კ.

გაგრძელება იქნება.

ჩვენი ინტელიგენტების დაქსაქსვა და მათ მიერ გოდლის ძენება.

ისტორია, როგორც მეცნიერება მოითხოვს, უნდა იყოს ერის ვითარების გამომხატველი, ეპოქებათ დაყოფილი. თვითეული ეპოქა უნდა ასურათებდეს ერის კულტურულ ვითარებას, მის ძლიერებას, ანუ უძღურებას.

ისტორიის საგანს შეადგენს სხვადა-

სხვა ერების კულტურის შესწავლა, იგი ნათლათ გამომხატველია იმისი, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ ერს სხვა ტომის ერებთან, რა კვალი დაუტოვებია იმის ცხოვრებაში, რა სახით მოუწყვია ამა თუ იმ ერს თავისი ყოფა ცხოვრება ეკონომიურად, სოციალურად, თუ პოლიტიკურად. რა ძალა ქონია კულტურის წარმატებას კაცობრიობის წინმსვლელობისთვის. რამდენათ წინ არის რომელიმე ერი თავის კულტურით, იმდენათ უფრო მოქმედებს კაცობრიობის ისტორია. ამგვარ მნიშვნელობას აძლევს ისტორიას დ. ბაქრაძე. („საქართველოს ისტორია“ მე-X-ე საუკუნემდე.)

ახლა ვიკითხოთ, კულტურამ როგორ უნდა მოიძვას ფეხი კაცობრიობის ისტორიაში?

კულტურა საზოგადოთ ქუხს და ტრიალებს ყველა ერების მოწინავე ინტელიგენტთა წრეში. ეს ასეც უნდა იყოს. საუბედუროთ ჩვენ ინტელიგენტებს თვალსაჩინო ღვაწლი არ მიუძღვის მდებრიო ხალხის წინაშე. თუ ინტელიგენტთა წრე შეგნებით და შემეცნებით პირველ საფეხურზე სდგას, ნუ თუ მათი თანამემამულე ერი მათე საფეხურზე მაინც არ უნდა იდგეს? შაბლონურად—ყველა შეგნებულს ქართველს მარილიანი გულ-შემატკივარი სიტყვა მზათ აქვს ხალხისთვის, მაგრამ ფაქტიურათ ხალხის სატკივარი მათ გულს არ უწუხებს. თუმცა ბევრი ინტელიგენტთაგანი გახეთების ფურცლებზე ხალხის გულ-შემატკივარ წერილებს ბეჭდავს, ლექციებსაც კითხულობს ხშირად ქალაქებში და უტკობს სმენას ქალაქის ნოქრებს, მაგრამ მათი მიზანი, თუ არ ვცდებით, უნდა იყოს ის, რომ საზოგადოებამ მათ გუნდრუკი უკმლოს, და თავის თავი საზოგადო მოღვაწის სახელით მონათლოს, თუ ეს ასე არ არის, აბა კითხეთ ჩვენ ზოგიერთ სიტყვით ბრა-

ხუნა პედაგოგებს, რას აკეთებენ სოფლათ ორი-სამი თვის განმავლობაში ზაფხულობით? სრულებით არაფერს. სოფელი მიტოვებულია—ვის სცალია მისთვის. მეცნიერული სხვადასხვა საკითხების განმარტება და ჩამოსხმა თეორიულ ფორმებში კარგია, რასაკვირველია, მაგრამ ცოტა ნაყოფი მოაქვს მდებრიო ხალხისთვის, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, რადგან ტექნიკური, პრაქტიკული მხარე ამგვარი მოქმედების სუსტია და მოკლებულია შემაერთებელ ძალას, ფართო საზოგადოების დაახლოებისადმი. სანამ ერთსულოვნება არ იქნება, სანამ შემაერთებელი შუქი არ გაუჯდება ძვალში და რბილში ხალხს, როგორც ერთ ეროვნულ ერთეულს, მანამდის—ჩვენი ინტელიგენტთა საზოგადოება, რამდენიმე დარგათ დაყოფილი და დაწეწილი ვერავითარ რეალურ ნაყოფს ვერ მოუტანს ჩვენ დაბეჩავებულ ერს. სანამდის შეერთებული მუშაობა ნიადაგს არ მოიპოვებს ჩვენში, მანამდის ქურნალ-გაზეთებში ტკბილი საუბარი და ლექციების კითხვა წარმოადგენს განყენებულ სხემას, კონკრეტულ ფორმებში ჩამოუსხმულს. საჭიროა ფაქტიურად საქმის ხელის მოკიდება, და შეერთებული მუშაობა და ხალხთან დაახლოება.

თითქმის ერთმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც საქართველოს, გარეშე მტრები აღარ აოხრებენ; სწორეთ ახალი ეპოქა, ახალი ისტორიული პირობები საქართველოს ზნეობრივ და კულტურულ განვითარებისა. მაგრამ ესარგებლობთ ამ პირობებით? რა გვარი ვალდებულება გვაკისრა ისტორიამ და როგორ მოქმედებას მოითხოვს იგი ჩვენგან? საქმეც ის არის, რომ ეს ვერ შეგვიგნია და ჩვენი ზოგიერთი მოწინავე ინტელიგენტთა წრე წინ ელოდება მას, ვისაც უფრო სწორი და სალი შეხედულობა აქვს საქმის წინ-მსვლელობაზე.



მოწინავე ორგანოების რიცხვი, თუმცა დღითი დღე მატულობს, მაგრამ ზოგიერთი ორგანოები თავის კომპანიებით ერთი მეორეს წინ ეღობებიან და ფართო საზოგადოებაში ნდობას უკარგავენ ერთი მეორეს და ხალხი უკუღმართი გზისკენ მიყავთ.

პრესის მიზანია — გამოხატოს უარყოფითი მხარე თანამედროვე საზოგადოების ვითარებისა.

საფრანგეთში პრესა ნამდვილ ამ მიზანს ემსახურება, იგი მეთვალყურეა ერისა, გამკიცხველი ყოველივე იმისა, რაც ღირსია გაკიცხვისა, რომ პოლიციას დაემალოს რაიმე ბოროტ-მოქმედება, იგი მონახავს და დიდი ასოებით ამცნობს ქვეყანას.

— საუბედუროთ ჩვენში უმეტესი ნაწილი მოწინავე ორგანოებისა დასახულ იდევალს არ ემსახურება. ერთი მხრით, რომ დიადია მათი სამსახური ფართო საზოგადოებისადმი, იმ მხრით, რამდენათ იგი მეცნიერულ და ლიტერატურულ ხასიათისაა, რამდენათ გამომკვლეველია პრესა მეცნიერულათ სხვადასხვა სადღეისო საკითხებისა, ამაში ეჭვი არავის არ ებადება, მაგრამ მეორე მხრით, პრესა, როგორც გამომქვლაველი შავი, უარყოფითი ცხოვრების ვითარებისა, თავის წმ. მოვალეობას უხვევს და რაღაც პირად ინტერესებში იქსოვება, რითაც პრესას თავის მნიშვნელობა ეკარგება. ამ თვალსაჩინო ნაკლს ნათლათ მოწმობენ ცოცხალი ფაქტები, რამდენი საჩივრები, საყვედურები ისმის პროვინციებიდან სხვადასხვა ორგანოებისადმი იმაზე, რომ ერთს სიტყვის ნებას აძლევენ, მეორეს პურს უდებენ პირში და საბასუბო წერილს რედაქციის არქივებში ინსერირან. ამასთან სამწუხარო ის არის კიდევ, რომ ზოგიერთი პროვინციებიდან, სოფლიდან გარიყული, უხელო, უპრინციპო, მატყუარა და სწორად შან-

ტაისტებიც კი პრესის წარმომადგენლებს წერილებს უგზავნიან და სოფლის ავ-კარგს თავისებურად ასურათებენ, თითქო რაიმე საერთო ქონდესთ ხალხთან და რაიმე ხალხის ავ-კარგი იმათ აწუხებდეთ. აქედან ცხადია, თუ როგორი შეხედულება უნდა იქონიოს ხალხმა პრესისაზე. აქ, პრესა გამოდის ხალხის შემლახველი და ფეხით გამთელელი. როგორც შანტაისტების ხელის შემწყობი, პრესა, რასაკვირველია აქ განზრახ არ მოქმედებს, მეცდომაში შეყავთ ზემო-ნაჩვენებ სოფლის კორიკანეებს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ პრესა უნდა იყოს იმის ცდაში, რომ რედაქციის წმიდა-წმიდათაში არ შეიპარნონ არა საიმედო პირები და ამით ჩირქი თავიდგან მოიცილოს.

ერთი სიტყვით-პრესას მიზნათ უნდა ქონდეს დასახული ხალხის დაახლოვება. დღეს ამ დიდს მიზანს დაცილებულია პრესა. ინტილიგენცია სულ ჩამოშორებულია ხალხს, ერთიც და მეორეც სხვა დასხვა ჩანგზე გალობს, რწმენა-დანდობა მათში არ არის. ეს უნდობლობა აიხსნება იმით, რომ ქართველებში გამჭრალია შემაერთებელი ძალა; ინტელიგენტთა დიფერენციაციას ნათლათ ხედავს მდაბიო ხალხი, ის ვინც უნდა წინ უძღვეს წელში გაწყვეტილ ხალხს. თითონ მარილს მოკლებულია, წელში გატეხილია. შური, მტრობა, სიძულვილი, ერთმანეთში ქიშპობა თან მისდევს ჩვენ ინტელიგენტებს და თითონ წელში გატეხილი ვის გაუმაგრებს წელს. ყველაფერ ნაკლულევენების მიზეზათ ბიუროკრატიას ვსთლით და მას ვახვევთ თავზე. ზოგი დაბრმავებული ქართველი ინტელიგენტი სხვა ერის დაჩაგრულ ხალხს უმაგრებს წელს და იმის ცდაშია, როგორმე აამაღლოს სხვა ტომის ხალხი და იმასთან სწადია დღესასწაული. თავის თანამომის კიო-ვარამი კი გვერდზე დაუ-

ტოვებია (ა. ჩხენკელის სიტყვა სათათფიროში). ი. ქრისტე ჯერ თავის ერში შეიქრა და შემდეგ სხვა ტომის ერს მიმართა. ნუ თუ ეს შემთხვევა გოდლის შენებას არ მოგვაგონებს და ერის სხვა დასხვა კუთხეში გაფანტავს. თვითეული ქართველი, თუ თავის თავს ნამდვილ ჩვენ მამულიშვილათ სთვლის, თავის ერის ეკონომიურ და კულტურულ კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს.

ნუ დავიბრძალებთ თვალებს. შეხედეთ მეზობელ ერს-სომხობას. შეერთებული მუშაობით ეკლესიის პრესტიჟი აამაღლეს, ეკლესიური თვითმართველობა შეინარჩუნეს და თავის ენას და ეროვნებას მკვიდრი საძირკველი გაუსკვხეს; მათი შკოლები დღითიდღე მატულობს იქ, სადაც ერთი მუჟა სომხებია — თავის შკოლა აქვთ — სომხურ ენაზე ასწავლიან ყველა საგნებს.

— სლავიანებმა, არიელთა ჩამორჩენილმა შტომ, პატარ-პატარა თემებათ იწყო ცხოვრება და დღეს ისტორიაში საპატიო ადგილი დაიჭირა.

— რომმა დაიმორჩილა ყველა ახლო-მახლო ქვეყნები, მაგრამ თავის დიქტატორული ძალა მალე დაკარგა და დამორჩილებული ქვეყნები ხელიდან გამოეცალა. რომის ძალის განვითარებას ხელს უშლიდნენ ისტორიული პირობები: იგი შესდგებოდა სხვადასხვა ერებისაგან და ეს უკანასკნელნი განირჩეოდნენ ერთმეორისაგან ზნით, ჩვეულებით, ხასიათით და კულტით. იმათში არავითარი შემაერთებელი ძალა არ სჩქედდა — და ამიტომ იყო რომ ძლიერი რომის სამეფო დავსა. იმ ქვეყნებში კი, სადაც ერი შესდგება ერთი თემისაგან და ერთ ეროვნულ ერთეულს წარმოადგენს, ყოველთვის შეეძლება ამ გვარ ერს თავის ეროვნული ძალის განვითარება. როგორც, მაგალითად, პოლონეთი, ჩეხია, ირლანდია, ელზას-ლოტარინგია. თუმცა ხსენებული ქვეყნები დამოკიდე-

ბულნი არიან პოლიტიკურათ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ბევრად მაღლა დგანან თავის კულტურით, ქართველებზე. ეკონომიური და სოციალური სიმაღლე ამ ქვეყნებისა იმით აიხსნება, რომ შინაური მტრები, გოდლის მაშენებელნი არ ყავთ. ჩვენი ინტელიგენციის დაქსახვა და ერთიმეორეს მტრობა კი ხელს უშლის ჩვენ ქართველების, ეკონომიურ და პოლიტიკურ წინსვლედობას.

მღ. ნესტორ აბესაძე.

### ათონის ხელთნაწერები.

ათონის მონასტერში დაკარგულა ბევრი ძვირფასი ხელთნაწერები. ამ შემადრწუნებელმა ამბავმა, თუ ეს ფაქტი დამტკიცდა, არ შეიძლება დიდი აღშფოთება არ გამოიწვიოს ქართველ საზოგადოებაში. როგორც არა ერთხელ გამოუთქვამთ ქართველ ისტორიკოსებს, ათონის ქართულ მონასტერში ბლომათ ყოფილა დაცული ხელთნაწერები, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ერთხანად ეპისკოპოს კირიონს, გაძევების შემდეგ, სწორედ ამ მონასტერში უნდოდა წასვლა ამ ხელთნაწერების შესასწავლად, მაგრამ მაშინ სასულიერო მთავრობამ ნება არ მისცა.

ძნელია თქმა, ვისმა ბოროტმა ხელმა გააქრო ეს ხელთნაწერები. ადვილად შესაძლებელია, ბერძენმა ბერებმაც ჩაიღინეს ეს საქმე. ხელთნაწერებში, სხვათა შორის, დაცული იყო საბუთები, რომელთა ძალითაც მტკიცდებოდა ისტორიული უფლებანი ქართველებისა ათონის მონასტერზე.

### სამღვდელოების საეკრძაღვები.

იმერეთის ეპარქიის ორ მედავიტენთავანს თავის მღვდლებზე საჩივარი შეუტანიათ მის მეუფება ყოვლად სამღვდელო გიორგისთან. მომჩივნები სთხოვენ ყოვლად სამღვდელოს განუმარტოს მათ: ერგება თუ არა მღვდელს ნაწილი იმ უფლიდან, რომელსაც ღებულობს

მედიაციონე მიცვალებულზე დავითნის კითხვაში, ან რა უნდა აიღოს მედიაციონემ თავის გასამრჯელოთ ამ შემთხვევაში ქირისუფლებიდან.

ამ საჩივარზე მისმა მეუფებამ სამღვდლოების საყურადღებოთ შემდეგი რეზოლიუცია დასდო: „წინადადება მიეცეს ხსენებულ მღვდლებს ხელი აიღონ თავის უკანონო მოქმედებაზე; სამედიაციონე ეკუთვნის, მას, ვინც კითხულობს დავითნის, და არავის სხვას; განსაზღვრული სასყიდელი არ არის დადებული; უნდა დაკმაყოფილდნ მით, რასაც მისცემენ. ეს ჩემი რეზოლიუცია გამოცხადებულ იქნეს ვახეთ „შინაურ საქმეებში“ სამღვდლოების საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ“.

### პრიტიკული შენიშვნები.

(„გარდემლი“ სალიტერატურო კრებული, წიგნი 1.)

როგორც მოგეხსენებათ, უკრიტიკოთ განვითარება და წარმოება არც ერთ ლიტერატურას არ შეუძლია. კრიტიკა ლიტერატურის სულია. ამას ბრინჯიერიც ამბობს ერთ ალბაგას: „აი, უკვე სამასი წელიწადია მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ლიტერატურის სულს კრიტიკა წარმოადგენს“.

მხატვარი - მგოსანი, მიუცილებლად, უნდა ემორჩილებოდეს გარდუვალ, საუკუნო, სამარადისო (ახლა ჩვენში ამბობენ — „მარადიული“) კანონებს **კეშმარიტებისა და შევნიერებისას**. და, თუ მხატვარმა გზას გადუხვია და უღალატა ამ კანონებს, მიბრძანეთ, ვინ უნდა ამხილოს ეს ღალატი ლიტერატურაში, თუ არ უღმობებელმა, პირუთვნელმა კრიტიკამ?

მაგრამ კრიტიკა, როგორც ვიცით, ბევრნაირია.

ზოგიერთი კრიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების ფორმებს, სალიტერატურო ფორმების სიტურფეს. მათი საზრუნავი საგანი — ნაწარმოებთა სილამაზე და შევნიერება.

ამ კრიტიკოსების აზრით, თუ რომ პოეტური ნაწარმოები აღძრავს ჩვენში სილამაზის, შევნიერების წმინდა ანგელოსურ ემოციებს, მხატვარმა ამით უკვე შეასრულა თვისი დიადი საქმე. ეს არის წმინდა **ესტეტიური** კრიტიკა. საფრანგეთში ამ კრიტიკის ნიჭიერი წარმომადგენელი იყო ცნობილი კრიტიკოსი-ფელეტონისტი ფრანცისკ სარსე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა პარიზში. ზოგიერთი კრიტიკოსი მხატვარს-მგოსანს, უმთავრესათ, წინსაკითხს უყენებს, თუ რასაკვირველია სარგებლის მომტანი რამ მოაქვს მის ნაწარმოებს მკითხველისა და ქვეყნისთვის. ამ კრიტიკოსების აზრით ლიტერატურა უნდა იყოს მქადაგებელი ზნეობრივ ფორმულებისა. ეს არის წმინდა **მორალური** ანუ **ტენდენციური** კრიტიკა, რომლის წარმომადგენელი საფრანგეთში იყო დიუმა-შვილი. ზოგიერთი კრიტიკოსი, უმთავრესად, ეძიებს და არკვევს იმას, თუ რამდენად მართლად და სინამდვილითაც ხატავს საგანს სალიტერატურო ნაწარმოები. ეს კრიტიკოსები სალიტერატურო ნაწარმოებში უწვრილმანდებიან ისეთ ხასიათებს, რაც მუდმივ თვისებას წარმოადგენს, საერთოდ, ყველა ადამიანისთვის. რაც განასხვავებს ერთს ინდივიდს — მეორე ადამიანისგან. ეს არის **ფსიხოლოგიური** კრიტიკა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი საფრანგეთში იყო — ბურჟე.

მეოთხე ნაირი კრიტიკა სალიტერატურო ნაწარმოებში ეძიებს ისეთ მხარეებს და ნიშანდობლივ თვისებებს, რომელიც ახასიათებენ მთელ ერს და ეპოქას. ასეთი კრიტიკოსები სწავლობენ და უწვრილმანდებიან მწერლის ბიოგრაფიას, მემუარებს და მთლად იმ ცხოვრებას, რომელსაც აღუზრდია იგი და უკვირდებიან იმ გარებობებს, თუ როგორი, რა ზომის ზედ-მოქმედება და გავლენა მოახ-

დინა ამ ცხოვრებამ მწერალზე და როგორის ნიჭიერებით, მხატვრობით, და სიცხოველით დახატა მან თვისი დრო და თვისი ერის უმთავრესი, ძირითადი თვისებანი. ეს არის კრიტიკა ისტორიული, რომლის წმინდა წარმომადგენელი იყო პარიზში რევოლუციის მამათმთავარი, დიდი ტალანტით დასაჩუქრებული ტენი და... ბრიუნეტერიც, რომელიც თავის ნაწარმოებში „ლიტერატურულ მსგავსებათა ევოლიუციაში“ ამაყად ამბობს, რომ მის თეორიას იგი უკავშირებს ჩარლზ დარვინის უდიდეს დოკტრინას და სარგებლობს დიადი მეცნიერის, „მსგავსებათა ნაწარმოების“ ავტორის მეთოდით... მაგრამ აქ ცხადი შეცდომაა და, აი, რატომაც სალიტერატურო კრიტიკა „მეცნიერული“ ვერ იქნება ვერას დროს. ვერ იქნება იმიტომ, რომ ბუნების მოვლენანი, რომელნიც ყოველთვის განმეორდებიან ხოლმე, ყოველთვის ცდაზე არიან დამყარებულნი და დიდი დაკვირვებისა და მრავალი ცდის შემდეგ გამოყავთ მეცნიერთ კანონი. სულ სხვაა სალიტერატურო კრიტიკის სამფლობელო. კრიტიკა ბუნების მუდმივ ფაქტებზე და მოვლენებზე კი არ არის დაფუძნებული, იგი ადამიანის შემოქმედობის, მდიდარი ფანტაზიის, წარმოდგენის გამოხატულობაზეა დაფუძნებული, რომელსაც წმინდა ინდივიდუალური ხასიათი აქვს ყოველგან და ყოველთვის. ამასთანავე თვით კრიტიკაშიაც კერძო პირადი, ინდივიდუალური გემოვნება, ტემპერამენტი და ხასიათი კრიტიკოსისაც დიდს, უპირატეს როლს თამაშობს და თვით კრიტიკოსის პირადი ნიჭის, წარმოდგენის, გამოცდილების, მიმართულების და ფილოსოფიური განვითარების ხასიათიც თავს იჩენს ხოლმე აშკარად. ამიტომაც, ბრიუნეტერმა ვერ მოგვცა ჩვენ „მეცნიერული კრიტიკა“ და ვერც მოგვცემს მას... და იმისი კრიტიკა წმინდა

და ესტეტიური კრიტიკა არის და მეტი არაფერი.

ტენის ნაწარმოები, ნამეტურ, იმისი „ისტორია ინგლისის ლიტერატურისა“ და „ლექციები ხელოვნებაზე“ ყოვლად შესანიშნავი ნაშრომია, მაგრამ ეს არის წმინდა ისტორიული ნაშრომი.

ამნაირად, ჩვენა ვხედავთ, რომ სალიტერატურო ნაწარმოების დაფასება სხვა და სხვანაირად შეიძლება. პირადათ, ჩვენ ვაერთებთ ისტორიულ და ფსიხოლოგიურ კრიტიკას, რაც ძალიან ადვილადაც არის შესაძლებელი ამ ჩვენს დროში და საგანს ვსჭვრეტთ ამ თვალსაზრისით, თუმცა ესტეტიკასაც არ ვიწვევთ ერთ წუთსაც.

ბატ. ივ. ვართავავა, როგორც ჩანს იმისი სტატიის ციტატიდან, რომელიც ზევით მაქვს მოტანილი, უფრო ისტორიული კრიტიკის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. ასეთს კრიტიკას ყოველთვის და ყოველგან მრავალ-გვარად მდიდარი ლიტერატურა ასაზრდოებს ხოლმე და, რაკი ჩვენი კრიტიკოსი გრიგოლ აბაშიძის ყოველ მხრივ დასაფასებლად ქართულ ლიტერატურაში შესაფერ საჭირო მასალასაც კი ვერ პოულობს, „ძალიან გასაჭირ და უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება“.

მაგრამ ჩვენი კრიტიკოსი, ვინაიდან კარგი მცოდნეა რუსული ლიტერატურისა, ამასთანავე ფილოსოფიური მსჯელობის და ლოგიკის ძლიერებაც აქვს იმის მსჯელობას, იგი ადვილად სძლევს აღებულს საგანს, შევნივრად არკვევს და ახასიათებს გრიგოლ აბაშიძის ლირიკას და ლიტერატურაშიაც უჩვენებს ადგილს, რომელიც სამართლიანად უნდა ეჭიროს ამ ნიჭიერი პოეტის ნაწარმოებს...

მე სრულიად ვეთანხმები ნიჭიერ კრიტიკოსს იმაშიაც, რომ გრ. აბაშიძის „დიდი ნიჭი ჩვენმა ცხოვრებამ, მისმა

მოუწყობლობა - დაძაბუნებამ, უკულტურობამ, „ქართლის ბედის“ უკულმა ტრიალმა ისე შეასუსტა, ისე დაამძლევა და დასერა, რომ ხელში შეგვრჩა, თუმცა ღრმად მგრძნობიარე, სიტყვის ოსტატი, მაგრამ აზრ-ზრახვით, ცოდნა-დაკვირვებით და მსოფლ-მხედველობით ღარიბი გრ. აბაშიძე.“

შემდეგი იქნება.

ხომლედი.

## კიდევ ათონის მთის შესახებ

ვაზ. „თემში“ ვკითხულობთ:

თანდათან ირკვევა ვაზა, რომლითაც უნდა ვიაროთ, რომ დაეიბრუნოთ ჩვენი ისტორიული, მრავალმეტყველი ადგილი. როგორც ვუწყით ბალკანეთის მართლმადიდებელ სახელმწიფოებს სურდათ გამოეცხადებიათ ათონის მთაზე პროტექტორატი რუსეთის მეთაურობით, მაგრამ რუსეთის და საზოგადოდ სლოვენების დაუძინებელმა მეტოქემ ავსტრიამ დააპირა საქმეში ჩარევა. გამოაცხადა, მეც მყავს ათონზე მართლმადიდებელი ქვეშევრდომი ერებიო და ამიტომ პროტექტორატი მეც წილი უნდა შედევასო. ამნაირად ეს პატარა კუნძულიც ვახდა სადაო საგნად სხვადასხვა მეტოქე ერთა შორის. ბერძნები კი გაიძახიან ათონის მთა მართა ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო. როგორც ახლა გამოირკვა ბერძნებს ჰქონიათ ათონის მთაზე 14 მონასტრამდე, რომელთა რიცხვში ითვლება ჩვენი ივერიის მონასტერიც. საერთო რიცხვი ბერძენ ბერთა უდრის 4,000 სულს; რუსის ბერები კი რიცხვით 5,000-ზე მეტი არიან. რუსებს ორი მონასტერი ჰქონიათ; ორი საყანე და მრავალი ცალკე სენაკი. რუსეთის დიპლომატიის წრეებში, როგორც ვაზ. „რუსეთს სლოვენ“ ვაღმოგვკვამს, ბერძნების მოთხოვნას უსაფუძლოთ სავლიან. მეორე დიდი ვახვით, სახელდობრ, „რეჩი“ გვაქვიათ, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაუარსებიათ

განსაკუთრებული საბჭო ათონის ავტონომიის შესახებ, ამ საბჭოში წევრებათ შედიან სასულიერო აკადემიების ზოგიერთი პროფესორები, მათ რიცხვში პალესტინის საზოგადოების მდივანი პროფ. დმიტრიევსკი, პროფ. პალმოვი და სხვა.

ამნაირად, ჩვენს არჩეულ კომისიასაც საქმე რამდენადმე გაუადვილდა. მან უნდა მიჰმართოს პირდაპირ ამ ახლად დაარსებულ საბჭოს და საბუთიანად დაუმტკიცოს ქართველი ხალხის უფლება ათონის მონასტრზე და მის ქონებაზე. თუ ახლა არ აღიძრა შესაფერი შუამდგომლობა, შემდეგში ამაო იქნება ცდა ამ ისტორიულ ადგილის დაბრუნების. საჭიროა ჩვენმა კომისიამ ალარ დააყოვნოს შუამდგომლობის აღძერა.

## კვირიდამ-კვირამდე

პარასკევს 8 თებერვალს თფილისში ქართულ საისტორიო საზოგადოებაში ახალგაზდა მკვლევარმა პაულე ინგოროყვამ წაიკითხა ვრცელი მოხსენება მარტვილის, გელათის, ჯრუჭის მონასტრების ხელნაწერების შესახებ. მას აღმოუჩენია მეტად საყურადღებო ხელნაწერები, რომელნიც ახალ ნათელს ფენენ მეთაე და მეფეთრთმეტე საუკ. მწერლების ეფრემ მკირის, არსენ კოლტოელის, დავით ტბელის და სხ. ნაწერებს. პ. ინგოროყვას ნაწერების გამოცემას აპირებს ხსენებული საზოგადოება.

ვილნის არხიებისკაპოზს ანტონის შეუდგენია ახალი ოოცვა, რომანოვების 300 წლიუბილეს გამო.

მსოფლიო საბატრიარხოშ ვადსწყვიტა დანიშნოს წარმომადგენელი რომანოვების 300 წლ. იუბილეს დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ. ამ მიზნით ამორჩეულია ვატოპედის მონასტროს ბერი იაკოვი, ვადსწყვიტა-

ლია მიმართონ მისალოც წერილით რუსეთის ეკლესიას.

ბაქოს მილიონერმა ნაგიევმა ბაქოს ქალაქს აუშენა უზარმაზარი სახალხო სახლი. ამ დღეებში ნაგიევმა კიდევ აცნობა ქალაქის საშარ-თველოს, რომ ის ამშენებს საავთმყოფოს 225 საწოლით ეროვნების და სარწმუნოების მიუხე-დავით, მხოლოდ მუსულმანებს უნდა დაეთ-მოთ 50 საწოლი. ამ საქმისთვის ის იღებს 300,000 მ.

შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ვადმოსცა ქუთაისის წერა კიბთვის საზოგადოებას 40,000 მან. საზოგადოება აპირებს პოეტ ვედოშვილის ნაწერების გამოცემას.

რუსეთის გაზეთები ირწმუნებიან, რომ რუსეთში ამ მოკლე ხანში პატრიარხოებას აღადგენენ.

სენატში 1 დეპარტამენტში გაიჩნა საჩი-ვარი კნენია ელ. ბაგრატიისა, რომელიც ასუ-ლია სენატორ ბეზობრაზოვისა. კნენია უჩიო-და მეფის შიადგილეს, რომ მან გააძევა იგი თბილისიდან. გამოიკვია, რომ კნენია ბაგრა-ტიდი თბილისის მცხოვრებთა შორის ავრცე-ლებდა მოწოდებას სათაურით „ქართველთა სამეფოს აღდგენა“. ამ მოწოდებაში კნენია იხ-სენიებდა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ 24 ივნისის 1783 წ. ტრაქტატს და აქვეყნებდა დამოუკიდებელ ქართულ სამეფოს პროექტს სრულიად რუსეთის სიუზერენის ხელშეიფე იმპერატორის მფარველობის ქვეშ. სენატმა ეს მოქმედება ძაუნედ ხსითვალა საზო-გადოებრივი წესრიგისა და მშვიდობიანობისა-თვის და ამიტომ საჩივარი უუურადღებოთ დასტოვა.

„საკავკასიის“ რედაქტორის ბ. ნ. რადიკის საქმე.

8 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში განხილულ იქმნა სალიტერატურო საქმე გაზეთ „ზაკავკასიის“ რედაქტორის ი. ი. რადიკის- რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული კან. დებ. 1034-ს მუხლის მე-3 ნაწილის ძალით.

ბ. ნ. რადიკე სამართალში მისცეს იმის გამო, რომ გაზ. „ზაკავკასიის“ მე-140 ნომერში გადმობეჭდა ნ. ნ. დურნო-ვოს წერილი „ამიერ კავკასიის ცრუ პა-ტრიოტები—მართლ-მადიდებელ ეკლე-სიების მტრები“. საბრალდებულო ოქმის მიხედვით ამ წერილში გამოქვეყნებული იყო წინასწარი ყალბი ცნობები. სხვათა შორის ამ წერილში შემდეგი იყო მოთაყ-სებული: „ამიერ კავკასიის ნაციონალი-სტების ორგანო, რომელიც თავის კარი-ერას ერების დევნაზე ამყარებს, — „გო-ლოს კავკასია“, — გაილაშქრა საქართვე-ლოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღ-მდეგ, შინარსიის მხრივ სულელურ და უბადრუკ წერილით. ეს გამოლაშქრება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 1912 წ. 27 მაისს, თავად-ახნაურობამ ხმა აიმაღ-ლა რუს ექსარხოების მიერ ქართულ ეკლესიების განადგურების წინააღმდეგ-ეკლესიის ავტოკეფალია წმ. ეკლესიის მტრებს აშინებს, რადგან ისინი არა-მც თუ წმ. ეკლესიას უთხრიან საძირკველს. არამედ მუშაობენ რევოლიუციის შესა-ქმნელად, ამხედრებენ ქართველ ერს რუსების წინააღმდეგ და რუსებს ქართველების წინააღმდეგ. მაშინ კი როდესაც ავტოკეფალიის დროს ივე-რიის ეკლესია პოლიტიკას თავს ში-ანებებს და თავის ეკლესიის აღდგენის საქმეს შეუდგება. ეტდება ხალხში შორო-წმუნეობისა და პატრიოსნების აღდგენას, რაც საინტერესოა რუსის გვირგვინოსან

მეფისათვის, ხოლო უინტერესოა რევოლიუციონერებისა და პატრიოტიზმით დაფარულ ამიერ-კავკასიის რუს ნაციონალისტებისათვის. ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით ვეკიდებოდით რუსეთის ერთგულსა და ბრწყინვალე თავად აზნაურობას, რომელთაც რუსეთის იარაღს სახელი მოუპოვეს და რომელთა თავდაზნაურებს რუსეთის ჯარი გამარჯვებამდე მიჰყავდათ.) ჩვენ გვიკვირდა, რომ პატივცემული ქართველი აზნაურობა, რომელიც ომში საოცარ ერთგულობასა და გულადობას იჩენდა რუსეთისათვის დიდების მოპოებაში, გულგრილად უყურებდა თავის ეკლესიის განადგურებას, ქართველ ხალხის გარევილიუციონერებას და სარწმუნოების დაკარგვას. მაშინ როდესაც თავდაზნაურობა მეტად მორწმუნე იყო. ჩვენ ვერ მოგვეაზრებინა, თუ რუსეთის მონარხიის ერგულმა და თავაზიანმა ქართველმა აზნაურობამ 1905 წელში რად არ დაუჭირა მხარი ქართველ სამღვდლოებს, როდესაც წამოყენებული იყო საკითხი ივერიის ეკლესიის დარღვეულ და გაქვლილ უფლებების აღდგენის შესახებ. ვინც წმ. ეკლესიის უფლებას იცავს, ის სამღვდლო საქმეს აკეთებს, ეკლესიას იცავს, მასთან კი მონარქიასაც, რაც ასე სძულთ ამიერ კავკასიის რუს რევოლიუციონერებს და ნაციონალისტებს. ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ პატივცემული ქართველი თავდაზნაურობა, რომელმაც ხელი მოჰკიდა ივერიის ეკლესიის უფლებათა დაცვას, ავტოკეფალიის საქმეს ბოლომდის მიიყვანს.

წინასწარ გამოძიების დროს ბნმა რადიკემ მოითხოვა მრავალი მოწმის გამოწვევა და აუარებელი დასამტკიცებელი საბუთების ჩართვა საქმეში, მაგრამ სასამართლომ უარპყო ეს შუამდგომლობა.

გუშინ საქმე ხალხის დასწრებით გა-

ნიხილეს. სასამართლოს თავმჯდომარეობდა ბ.ნი იასტრიჟემსკი. ბრალდებას სდებს ბ.ნი მაძალევსკი. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. თან. ჟორდანიამ

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არა სცნო და განაცხადა: „რადგან ბექდვით საქმეს ვემსახურები, ჩემს ზნეობრივ ვალდებულად ჩავთვალე ამ წერილის გადმობეჭდა, რადგანაც მას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის გარდა დანაშაულს არა ვხედავ, რადგან წერილში თეორეტიულად განხილულია ეკლესიის კანონების საკითხი, და შიგ მოთავსებულია სქემატური მასალა იმ სამეცნიერო ვებერთელა წიგნებთან შედარებით, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. რაც შეეხება საქართველოს ექსარხოსის ინოკენტის მოქმედებას, ეს აღნიშნულია იმდენად, რამდენადაც ამას წერილის საქმის ვითარება მოითხოვდა. სამწუხაროდ, რადგან მოწმეების გამოწვევაში უარი მითხრეს მე შეძლება არა მაქვს დავამტკიცო სასამართლოში დებულებანი, რომელიც წერილში იყო წამოყენებული.“

დამცველმა ჟორდანიამ შუამდგომლობა აღძრა, უფლება მიეცეს დაბეჭდილ მასალას შეეხოს, რომელიც ოფიციალურად უკვე გამოქვეყნებული იყო.

ბრალმდებელი ამის წინააღმდეგია. სასამართლომ უარპყო დამცველის შუამდგომლობა.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბრალმდებელის თანაშემწემ, რომელიც დანაშაულს დამტკიცებულად სცნობდა და ბრალდებულის დასჯას მოითხოვდა, საბრალდებულო ოქმის მიხედვით.

ნაფ. ვექ. თან. ჟორდანიამ განიხილა 1034<sup>1</sup> მუხლი დი იმ დასკვნას დაადგა, რომ წერილში არავითარი დანაშაული არ არის. წერილში აღნიშნული არ არის ექსარხოსი ინოკენტისა და ქართლიმფრეთის სინოდალურ კანტორის მოქმედე-

ბანი. წერილში ლაპარაკია საერთოდ ექსარხოსებზე, მათ მიერ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგებლობაზე, როგორც სისტემაზე, ისე ამ სისტემის ნაკლებზე, პრინციპიალურ ხასიათის საკითხზე, „ავტოკეფალიაზე“ და სხვ. იმ ადგილებსაც კი, რომელსაც სამეცნიერო ხასიათი არა აქვს, კანონის წინააღმდეგობასთან საერთოდ არა აქვს რა. აქ იმის ცდაში კი არ არიან, რომ ხალხში თანამდებობის პირთადმი მძულვარება გამოიწვიონ, არამედ თავად აზნაურობას ურჩევნ, რომ თვით ხელმწიფე იმპერატორის მფარველობას მიმართონ, აუწერონ ადგილობრივ თანამდებობის პირთა უკანონობანი და საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა. თუ ესეც დანაშაულია, მაშინ რაღა არ იქნება დანაშაული?! რაც შეეხება დანარჩენს, ბ-ნი ჟორდანიამ ამბობს, რომ სამწუხაროდ ხელები შებორკილი აქვს, რადგან სასამართლომ უარყო მოწმეების გამოწვევა და დასამტ-

კიცებელ საბუთების მოყვანა. დარჩა ერთი საკითხი საქართველოს ეკლესიის შესახებ, აქ ყალბი ცნობები არ არის, რადგან ყველასაგან ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ჰქონდა და ექსარხოსის მართვა-გამგებლობა უკანონოა. ამიტომ ბ-ნი ჟორდანიამ მოითხოვა ბრალდებულის სრული გამართლება.

სასამართლომ, ერთი საათის თათბირის შემდეგ, გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბ-ნი რადიკეს 100 მ. ჯარიმა გადაუწყვიტა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთი თვით ციხეში უნდა ჩაჯდეს.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

შიიღებ ხელის მიწერა 1913 წლისათვის.  
 უოველთვიურ ჟურნალ

# „ბანთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და უოველ კვირად გადის

# შინაურ საქმეებზე

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 3 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივე ერთად 7 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურად 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე

სტამბა „მშობა“ ვახაკის ქუჩა № 17, ქ. ქუთაისში.